წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

2026 წლის 27 მარტი

ქ. წყალტუბო

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის № 30 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.122.016373; 01/11/2016) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი *№1* -ის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში არსებული ძველი, ამორტიზებული და საფრთხის შემცველი ლიფტების ახლით შეცვლა;

ბ)მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია;

გ) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა;

დ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაცია;

ე) მრავალბინიანი საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება;

ვ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია;

ზ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა;

თ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია."

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი *№1* -ის მე-5 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,2. პროგრამით განსაზღვრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა. გამონაკლისს წარმოადგენს ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში არსებული ძველი, ამორტიზებული და საფრთხის შემცველი ლიფტების ახლით შეცვლის ხარჯის დათვლა, რომელსაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია ელექტრონული ბაზრის კვლევის საფუძველზე."

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

დანართი №2

პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა				
№	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1	ქალაქ წყალტუბოს ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში არსებული ძველი, ამორტიზებული და საფრთხის შემცველი ლიფტების ახლით შეცვლა	100/0	100	0
2	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	90/10	90	10
3	მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა			
4	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის, კომუნიკაციების აღდგენა რეაბილიტაცია			
5	მრავალბინიანი საძირკვლების გამაგრება და სარდაფების მოწესრიგება			
6	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია	60/40	60	40
7	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა			
8	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია			

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი